



ევროკავშირი დეტალებში

[euawareness.org](http://euawareness.org)

#ცოდნა მანიპულირების წინააღმდეგ

ევროკავშირი დეტალებში #13

გიორგი რობაქიძე

**ევროპული მედიის თავისუფლების აქტი (2024):**

საერთო ჩარჩო მედიის პლურალიზმისა და დამოუკიდებლობისათვის

ევროპული პარლამენტისა და საბჭოს 2024 წლის 11 აპრილის რეგულაცია (EU) 2024/1083

სიდრმისეული ანალიზი არა-ექსპერტებისთვის

გამოთქმული მოსაზრებები და დასკვნები ეკუთვნის ავტორს და შესაძლოა არ ასახავდეს ევროკავშირის ცნობიერების ცენტრის შეხედულებებს

მაისი 2026

© 2026 ევროკავშირის ცნობიერების ამაღლების ცენტრი. ყველა უფლება დაცულია.

## I. შესავალი: რატომ არის აქტუალური მედიის თავისუფლება დღეს

თანამედროვე ევროპული დემოკრატიის გულში პარადოქსულ მოვლენას ვაღწევთ თვალს. ევროკავშირის მოქალაქეებს დღეს ინფორმაციაზე წვდომა ისტორიის ნებისმიერ სხვა პერიოდთან შედარებით გაცილებით მეტი აქვთ, თუმცა, ამ ფონზე, პირობები, რომელთა ფარგლებშიც დამოუკიდებელი ჟურნალისტიკა ფუნქციონირებს, არაერთ ქვეყანაში გაუარესდა. სარედაქციო გუნდები შემცირდა, საზოგადოებრივი მაუწყებლები რამდენიმე წევრ ქვეყანაში პირდაპირ პოლიტიკურ ზეწოლას დაექვემდებარა. ონლაინ პლატფორმებმა შთანთქეს სარეკლამო შემოსავლები, რომლებიც ოდესღაც ხარისხიან ჟურნალისტიკას აფინანსებდა. სათვალთვლო პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც კრიმინალთან წინააღმდეგ იყი განკუთვნილი, ჟურნალისტების მოწყობილობებზე აღმოჩნდა.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით ევროპარლამენტმა და ევროპულმა საბჭომ 2024 წლის 11 აპრილს მიიღო ევროპული მედიის თავისუფლების აქტი (EMFA) — [რეგულაცია \(EU\) 2024/1083](#) — რომელიც 2025 წლის 8 აგვისტოდან შევიდა ძალაში. აღნიშნული საკანონმდებლო აქტი წარმოადგენს ევროკავშირის ისტორიაში პირველ სავალდებულო კომპლექსურ ჩარჩოს მედიის პლურალიზმისა და სარედაქციო დამოუკიდებლობის დასაცავად, რომელიც მოიცავს როგორც სატელევიზიო მაუწყებლობას და რადიოს ისე პრესას. ეს დოკუმენტი წევრ ქვეყნებს მხოლოდ მედიის თავისუფლების პატივისცემისაკენ არ მოუწოდებს — ის ადგენს სავალდებულო აღსასრულებელ ნორმებს, ქმნის დამოუკიდებელ ევროპულ საზედამხედველო ორგანოს და ანგარიშვალდებულების სტრუქტურირებულ არქიტექტურას.

## II. პრობლემა: ევროკავშირში მედიის დამოუკიდებლობის სტრუქტურული საფრთხეები

EMFA-ს პრეამბულა იძლევა იმ პრობლემების გულწრფელ შეფასებას რომელთა გადაჭრასაც აღნიშნული კანონმდებლობა ისახავს მიზნად. კერძოდ, ევროკავშირის მედია სერვისების შიდა ბაზარი არასაკმარისად არის ინტეგრირებული რის გამოც ხშირია ეკონომიკური ხასიათის პრობლემები, რაც უკანასკნელ წლებში ციფრული მედიასაშუალებების განვითარების გამო კიდევ უფრო გამწვავდა. გამოვლენილია სამი კატეგორიის პრობლემა: ძალიან მსხვილი ონლაინ პლატფორმები (VLOPs) სარეკლამო შემოსავლებს ხშირად მედია პროდუსერებისკენ მიმართავენ, რაც საგრძნობლად ასუსტებს დამოუკიდებელი ჟურნალისტიკის ფინანსურ მდგრადობას; მედიის პლურალიზმზე განსხვავებული ეროვნული ნორმები ფრაგმენტულ სამართლებრივ სივრცეს ქმნის; და გარკვეული მომწოდებლები — მათ შორის ის მედიასაშუალებები რომლებიც კონტროლდებიან მესამე ქვეყნების მიერ კონტროლირდება — სისტემატურად ავრცელებენ დეზინფორმაციას და ბოროტად იყენებენ შიდა ბაზრის თავისუფლებებს.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელზეც საუბარია კანონის პრეამბულაში, არის „მედიის მიტაცების“ ფენომენი, რაც გამოიხატება სარედაქციო გადაწყვეტილებების თანდათანობით პოლიტიკური თუ კომერციული ინტერესებისადმი დაქვემდებარებაში. ეს მოვლენა ხშირად საზოგადოებრივი მარეგულირებლის კონტროლის, სახელმწიფო სარეკლამო სახსრების არასათანადო განაწილების ან პოლიტიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული პირების მხრიდან საინფორმაციო საშუალებების შექენის გზით.

EMFA რეგულაცია ეფუძნება ევროკავშირის ხელშეკრულების (TFEU-ის 114-ე მუხლი) შიდა ბაზრის დებულებებს, განიხილავს რა მედიის პლურალიზმს არა მხოლოდ კულტურულ ღირებულებად, არამედ კავშირის ფარგლებში სამართლიანი ეკონომიკური კონკურენციის პირობად. EMFA რეგულაციის მიღებამდე, მედია სფეროში ევროკავშირის ჩართულობა შეზღუდული იყო და ძირითადად აუდიოვიზუალური მედიის მომსახურების ღირეტივას (2010/13/EU) ეფუძნებოდა. EMFA რეგულაციის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია, რომ ის პირდაპირ სავალდებულოა ყველა წევრ სახელმწიფოსთვის და არ საჭიროებს ეროვნულ კანონმდებლობაში ასახვას. ამასთან ის ადგენს ჟურნალისტებისა და დამოუკიდებელი მედიასაშუალებების დაცვის მინიმალურ სტანდარტს, რომელიც ვრცელდება ევროკავშირის მთელ ტერიტორიაზე. წევრ სახელმწიფოებს

შეუძლიათ უფრო შორს წასვლა (დაცვის უფრო მკაცრი ზომების შემოღება საკუთარ ტერიტორიაზე), თუმცა მათ არ შეუძლიათ EMFA-ით დადგენილი სტანდარტის შერბილება.

### **III. რა არის ევროპული მედიის თავისუფლების აქტი?**

EMFA სტრუქტურირებულია 29 მუხლისაგან შემდგარ ოთხ თავში. მასში ფართოდ არის განმარტებული მედია სერვისის ცნება — რომელიც მოიცავს ნებისმიერ ისეთ სერვისს, რომლის მთავარი მიზანია სარედაქციო პასუხისმგებლობით პროგრამების ან ბეჭდური პუბლიკაციების ფართო საზოგადოებისთვის მიწოდება. ეს მოიცავს მაუწყებლობას, მოთხოვნით ხელმისაწვდომ სერვისებს, პოდასტებსა და ბეჭდურ გამოცემებს, თუმცა არ ვრცელდება მომხმარებლის მიერ შექმნილ შინაარსზე (თუ მას პროფესიული ხასიათი არ აქვს) და კერძო მიმოწერაზე (მუხლი 2(1)).

მისი ამოქმედება ეტაპობრივად მოხდა. მიმდებარე უფლებებთან დაკავშირებული წესები ძალაში შევიდა 2024 წლის 8 ნოემბერს; სარედაქციო დამოუკიდებლობის ძირითადი დებულებები და ახალი ევროპული საზედამხედველო ორგანო — 2025 წლის 8 თებერვალს; მარეგულირებელ ორგანოებს შორის თანამშრომლობის მექანიზმები — 2025 წლის 8 მაისს; ხოლო სრული სამართლებრივი ჩარჩო, მათ შორის სახელმწიფო რეკლამის, აუდიტორიის გაზომვისა და მედიის კონცენტრაციის წესები — 2025 წლის 8 აგვისტოს. მოწყობილობების მორგებასთან დაკავშირებული დებულება ამოქმედდება 2027 წლის 8 მაისს, ხოლო ევროკომისიის პირველი შეფასება 2028 წლის 8 აგვისტომდე უნდა მომზადდეს.

### **IV. სარედაქციო დამოუკიდებლობა: ცენტრალური საყრდენი**

EMFA-ს ყველაზე მნიშვნელოვანი დებულება ნორმატიული თვალსაზრისით არის მუხლი 4(2): რომელიც განსაზღვრავს, რომ „წევრმა სახელმწიფოებმა პატივი უნდა სცენ მედიასერვისის მიმწოდებელთა ეფექტიან სარედაქციო თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას მათი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას. წევრი სახელმწიფოები, მათ შორის ეროვნული მარეგულირებელი ორგანოები და უწყებები, არ უნდა ჩაერიონ და არც უნდა შეეცადონ გავლენის მოხდენას მედიასერვისის მიმწოდებელთა სარედაქციო პოლიტიკასა და სარედაქციო გადაწყვეტილებებზე.“

აღნიშნული დებულება წარმოადგენს სამართლებრივად სავალდებულო აკრძალვას, რომელიც ვრცელდება სახელმწიფოს ყველა დონეზე და მოიცავს არა მხოლოდ ხელისუფლების პირდაპირ ჩარევას, არამედ ირიბ ზეწოლასაც მარეგულირებელი ორგანოების, ლიცენზირების გადაწყვეტილებებისა და სარეკლამო რეგულაციების განაწილების გზით.

EMFA გარკვეულ ვალდებულებებს უწესებს თავად მედიის მომწოდებლებსაც. კერძოდ მუხლი 6(3) მიხედვით, საინფორმაციო და მიმდინარე საკითხების გაშუქებასთან დაკავშირებულმა მიმწოდებლებმა უნდა მიიღონ შესაბამისი ზომები, რათა სარედაქციო გადაწყვეტილებების მიღება ხდებოდეს დამოუკიდებლად, დადგენილი სარედაქციო ხაზის ფარგლებში. მომწოდებელი ვალდებულია ასევე გაასაჯაროოს ნებისმიერი ფაქტობრივი ან პოტენციური ინტერესთა კონფლიქტი. რეგულაცია არ ითვალისწინებს მმართველობის კონკრეტულ მოწყობას — ის აღიარებს კერძო მესაკუთრეთა ლეგიტიმურ უფლებებს თავად განსაზღვრონ სტრატეგიული მიმართულება. თუმცა, ადგენს მკაფიო სტრუქტურულ პრინციპს: მფლობელებს შეუძლიათ სარედაქციო ხაზის ჩამოყალიბება, მაგრამ მათ არ შეუძლიათ ინდივიდუალური სარედაქციო გადაწყვეტილებების მართვა. ეს განსხვავება პრინციპული მნიშვნელობის მატარებელია.

### **V. სათვალთვალო პროგრამული უზრუნველყოფის შეზღუდვა: ახალი წითელი ხაზი ევროპისათვის**

EMFA-ს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დებულებაა სათვალთვალო პროგრამების (ე.წ. spyware) გამოყენების შეზღუდვა ჟურნალისტების, სარედაქციო პერსონალისა და მათთან რეგულარულ პროფესიულ კავშირში მყოფი პირების მიმართ. ტერმინი სათვალთვალო პროგრამები,

რეგულაციის მიხედვით მოიცავს ნებისმიერ პროდუქტს, რომელიც სპეციალურად არის შექმნილი ფარული სათვალთვალო მიზნებით, მათ შორის ზარების ჩაწერის, დაშიფრულ შინაარსზე და მასალებზე წვდომის, გეოლოკაციის თვალყურის დევნებისა და სხვადასხვა ელექტრონულ მოწყობილობაზე საქმიანობის მონიტორინგისთვის.

რეგულაციაში ამ დებულების შეტანა, პირდაპირ კავშირშია 2021 წელს „Pegasus“-ის სათვალთვალო პროგრამის შესახებ ინფორმაციის გაჟონვასთან, რა დროსაც დადასტურდა, რომ ევროკავშირის რამდენიმე წევრ ქვეყანაში ზემოხსენებული სათვალთვალო პროგრამა გამოყენებულ იქნა ჟურნალისტებისა და პოლიტიკოსების წინააღმდეგ. აღსანიშნავია, რომ რეგულაცია არ ითვალისწინებს ამ პროგრამის აბსოლუტურ აკრძალვას. თუმცა, ჟურნალისტებთან მიმართებით მისი გამოყენება მხოლოდ მკაცრი, ინდივიდუალური გარემოებების გათვალისწინებით უნდა მოხდეს. ის უნდა ემყარებოდეს ევროკავშირის ან წევრი ქვეყნის ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებულ სამართლებრივ საფუძველს, შესაბამისობაში იყოს ადამიანის ძირითადი უფლებების ქარტიასთან და შეიცავდეს გადაუდებელი საჯარო ინტერესის დასაბუთებას, პროპორციულობას და ხორციელდებოდეს სასამართლოს ან შესაბამისი დამოუკიდებელი ორგანოს წინასწარი ავტორიზაციის საფუძველზე. ჟურნალისტის წინააღმდეგ სათვალთვალო პროგრამული უზრუნველყოფა შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ სერიოზული დანაშაულის გამოძიებისას, და ისიც მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სხვა ზომა არ იქნება საკმარისი. ამასთან, სათვალთვალო ღონისძიებები ექვემდებარება რეგულარულ დამოუკიდებელ მიმოხილვას, ხოლო დამოუკიდებელი ორგანო ვალდებულია დახმარება გაუწიოს დაზარალებულ ჟურნალისტებს სასამართლო დაცვის კუთხით. ყველა ეს ზომა ემსახურება ერთ მთავარ პრინციპს: ჟურნალისტსა და მის წყაროს შორის კონფიდენციალური ურთიერთობის დაცვას, და ამ პრინციპიდან ნებისმიერი გადახვევა მოითხოვს სასამართლოს მხრიდან შესაბამის ზედამხედველობას.

## **VI. საზოგადოებრივი მედია: სტრუქტურული გარანტიები „მიტაცების“ წინააღმდეგ**

საზოგადოებრივი მედია ორგანიზაციები განსაკუთრებით მოწყვლადი არიან პოლიტიკური კონტროლის მიმართ, რადგან ინსტიტუციურად სახელმწიფოსთან მჭიდრო ურთიერთობა უნდა უნდა. რეგულაცია პრეამბულაში ამ პრობლემას ფრთხილი, მაგრამ ცალსახა ფორმით აღწერს და აღნიშნავს, რომ ზოგიერთ წევრ სახელმწიფოში საკანონმდებლო ცვლილებებმა გააძლიერა მთავრობის გავლენა საზოგადოებრივი მაუწყებლების ხელმძღვანელობის დანიშვნაზე, ხოლო ევროკავშირის სამართლის უზენაესობის ანგარიშები ადასტურებს არსებული დაცვის მექანიზმების ფრაგმენტულ და არასაკმარის ხასიათს.

რეგულაცია ამ გამოწვევას სავალდებულო სტრუქტურული მოთხოვნებით პასუხობს. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ საზოგადოებრივი მედიის ორგანიზაციები იყვნენ სარედაქციო და ფუნქციურად დამოუკიდებელი და მიუკერძოებლად უზრუნველყონ ინფორმაციის მრავალფეროვნება. ხელმძღვანელობის დანიშვნის პროცედურები უნდა იყოს გამჭვირვალე, ღია, არადისკრიმინაციული და წინასწარ განსაზღვრულ კრიტერიუმებზე დაფუძნებული; უფლებამოსილების ვადა კი საკმარისად ხანგრძლივი უნდა იყოს ეფექტიანი დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად.

უფლებამოსილების ვადის დასრულებამდე გათავისუფლება დასაშვებია მხოლოდ „გამონაკლის შემთხვევებში“, ის უნდა იყოს სათანადოდ დასაბუთებული, წინასწარ ცნობილი და ექვემდებარებოდეს სასამართლო კონტროლს — რაც პირდაპირ მიმართულია იმ პრაქტიკის წინააღმდეგ, როდესაც პოლიტიკურად მოტივირებული გათავისუფლებები ფორმალურად ნეიტრალური არგუმენტებით ინიღბება.

დაფინანსება უნდა იყოს საკმარისი, მდგრადი და პროგნოზირებადი; სასურველია მრავალწლიანი ბიუჯეტირების საფუძველზე, რათა ყოველწლიური საბიუჯეტო მოლაპარაკებები პოლიტიკური ზეწოლის ბერკეტად არ იქცეს. დამოუკიდებელმა ზედამხედველმა ორგანომ საჯაროდ უნდა წარადგინოს ანგარიშები შესაბამისობის შესახებ. ძირითადი პრინციპია, რომ საზოგადოებრივი

მედიის მმართველობა ინსტიტუციურად უნდა იყოს დაცული პოლიტიკური ციკლების გავლენისგან. დამოუკიდებლობა არ არის კეთილი ნების გამოხატულება — ეს წევრი სახელმწიფოების სამართლებრივი ვალდებულებაა.

## **VII. საკუთრების გამჭვირვალობა და მედიის კონცენტრაცია**

იმის ცოდნა, თუ ვინ ფლობს მედიას, აუცილებელი წინაპირობაა იმის შესაფასებლად, რამდენად სანდოა მის მიერ გავრცელებული ინფორმაცია. რეგულაციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის მიხედვით, მედია მომსახურების მიმწოდებლებმა საჯაროდ უნდა გამოაქვეყნონ საკუთარი იურიდიული სახელწოდება, პირდაპირი და ირიბი მფლობელების ვინაობა — მათ შორის სახელმწიფოს ან საჯარო ორგანოების მონაწილეობა — ასევე ბენეფიციარი მესაკუთრეები და სახელმწიფოსა თუ მესამე ქვეყნების საჯარო სუბიექტებისგან მიღებული სარეკლამო შემოსავლების წლიური ოდენობა. ეს უკანასკნელი მოთხოვნა მიმართულია უცხოური გავლენის იმ ოპერაციების წინააღმდეგ, რომლებიც მედიის დაფინანსების გზით ხორციელდება.

ეროვნულმა მარეგულირებლებმა უნდა შექმნან მედიის საკუთრების საჯაროდ ხელმისაწვდომი ბაზები.

გამჭვირვალობის გარდა, რეგულაციის 22-ე და 23-ე მუხლები წევრ სახელმწიფოებს ავალდებულებს, შეიმუშაონ ისეთი ეროვნული წესები, რომლებიც შესაძლებელს გახდის მედიის ბაზარზე იმ კონცენტრაციების (მონოპოლიების) შეფასებას, რომლებმაც შესაძლოა მნიშვნელოვნად დააზიანოს მედიის პლურალიზმი და სარედაქციო დამოუკიდებლობა — ეს შეფასება განსხვავდება კონკურენციის სამართლის სტანდარტული ანალიზისგან.

შეფასების კრიტერიუმები მოიცავს:

- გავლენას საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე;
- შერწყმული(გაერთიანებული) მედია სუბიექტის სარედაქციო დამოუკიდებლობის გარანტიებს;
- და იმას, შეძლებდნენ თუ არა მხარეები ეკონომიკურ სიცოცხლისუნარიანობას შერწყმის გარეშე.

თუ კონცენტრაციამ შესაძლოა გავლენა მოახდინოს შიდა ბაზრის ფუნქციონირებაზე, ევროპული მედია მომსახურებების საბჭოსთან კონსულტაცია სავალდებულოა; საბჭოს საკუთარი ინიციატივითაც შეუძლია მოსაზრების გამოქვეყნება (მუხლი 23(1)).

ეს ჩარჩო სამართლებრივად ავალდებულებს სახელმწიფოებს, რომ მედიის პლურალიზმის საკითხი ფორმალურად დაისვას და საჯაროდ შეფასდეს — რაც თავისთავად მნიშვნელოვანი ნაბიჯია იმ წევრ სახელმწიფოებში, სადაც მსგავსი ანალიზი ისტორიულად საერთოდ არ არსებობდა.

## **VIII. პლატფორმების განზომილება: ძალიან დიდი ონლაინ პლატფორმები, სახელმწიფო რეკლამა და აუდიტორიის გაზომვა**

ძალიან დიდი ონლაინ პლატფორმები, რომლთა განსაზღვრებაც [ევროკავშირის ციფრული სერვისების აქტის](#) ფარგლებში არის მოცემული, დღეს საზოგადოებისთვის საინფორმაციო შინაარსის მიღების მთავარ წყაროდ იქცნენ.

EMFA-ის მე-18 მუხლი ავალდებულებს ასეთ პლატფორმებს, შექმნან თვითდეკლარირების მექანიზმი, რომლის საშუალებითაც მედია ორგანიზაციები შეძლებენ, განაცხადონ საკუთარი მარეგულირებელ სტატუსის, სარედაქციო დამოუკიდებლობის და რეგულაციასთან შესაბამისობის შესახებ. იმ მედია ორგანიზაციებთან მიმართებით, რომლებსაც წარდგენილი აქვთ ასეთი დეკლარაცია, პლატფორმები ვალდებული არიან, მათი მასალების შეზღუდვამდე ან მათთვის

წვდომის შეჩერებამდე წინასწარ წარმოადგინონ შესაბამისი დასაბუთება. შეზღუდვის ძალაში შესვლამდე მედიას უნდა მიეცეს 24 საათი რეაგირებისა და პასუხის გასაცემად.

თუ მედია ორგანიზაცია მიიჩნევს, რომ შეზღუდვები განმეორებით და არასაკმარისი საფუძვლით დაწესდა, პლატფორმა ვალდებულია ჩაერთოს დია და კეთილგონიერ დიალოგში პრობლემის მეგობრულად, სამართლებრივი დავის გარეშე გადაწყვეტის მიზნით.

ამასთან პლატფორმებმა ყოველწლიურად უნდა გამოაქვეყნონ გამჭვირვალობის ანგარიშები, რომლებიც ასახავს:

- კონტენტის შეზღუდვების რაოდენობას;
- უარყოფილ დეკლარაციებს;
- და გამართული დიალოგების სტატისტიკას.

რეგულაციის კიდევ ორი მნიშვნელოვანი დებულება ეხება ჟურნალისტიკის ეკონომიკურ გარემოს. რეგულაციის 25-ე მუხლი ავალდებულებს ხელისუფლებას, რომ სახელმწიფო რეკლამა განაწილდეს წინასწარ გამოქვეყნებული, გამჭვირვალე, ობიექტური და არადისკრიმინაციული კრიტერიუმების საფუძველზე, ხოლო ყოველწლიურად საჯაროდ გამოქვეყნდეს ყველა მიმღების სია და დახარჯული თანხების მოცულობა. ამ განაწილებას ყოველწლიურად უნდა აკონტროლებდეს და ანგარიშს აქვეყნებდეს დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანო. აღნიშნული დებულებები პირდაპირი პასუხია ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში არაერთხელ დადასტურებული პრაქტიკის წინააღმდეგ, სადაც სახელმწიფოს სარეკლამო ბიუჯეტი გამოიყენება ხელისუფლებისადმი ლოიალური მედიის დასაჯილდოებლად და დამოუკიდებელი მედიასაშუალებების ფინანსურად დასასუსტებლად.

#### **IX. მნიშვნელობა ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნებისათვის, განსაკუთრებით საქართველოსთან მიმართებაში**

ევროპული მედიის თავისუფლების აქტის სტანდარტები, კანდიდატი ქვეყნებისთვის, როდესაც ისინი დაიწყებენ საკუთარი სამართლებრივი სისტემების ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოებას, სავალდებულო ნორმებად იქცევა და ფაქტიურად წარმოადგენს გაწევრიანების ერთ-ერთ კრიტერიუმს.

მედიის თავისუფლება უკვე ფასდება კოპენჰაგენის პოლიტიკური კრიტერიუმებისა და ევროკავშირის გაფართოების ყოველწლიური ანგარიშების ფარგლებში. EMFA კი აქამდე გაფანტულ და ზოგად მოლოდინებს - სარედაქციო დამოუკიდებლობას, საზოგადოებრივი მაუწყებლის მმართველობას, საკუთრების გამჭვირვალობას, სახელმწიფო რეკლამის განაწილებას და ჯამბურ პროგრამების გამოყენებას - კონკრეტულ საკანონმდებლო საკონტროლო სიად გარდაქმნის.

რეგულაცია ასევე ითვალისწინებს კანდიდატი ქვეყნების მარეგულირებლების მონაწილეობას ევროპული მედია მომსახურებების საბჭოში მუდმივი დამკვირვებლის სტატუსით, რაც ფორმალურ გაწევრიანებამდე წინასწარი დაახლოების მექანიზმს წარმოადგენს.

საქართველოს, რომელსაც ევროკავშირის კანდიდატის სტატუსი 2023 წლის დეკემბერში მიენიჭა, მნიშვნელოვანი გამოწვევები აქვს ამ სტანდარტებთან მიმართებით. ქვეყნის მედია გარემო ხასიათდება საკუთრების მაღალი კონცენტრაციითა და არასაკმარისი გამჭვირვალობით. მსხვილი კერძო მაუწყებლები ხშირად დაკავშირებულნი არიან მმართველ პარტიასთან ასოცირებულ პირებთან და სტრუქტურებთან.

ამავე დროს, საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი არაერთხელ გამხდარა ევროპის საბჭოს მონიტორინგის კრიტიკის საგანი, რადგან მისი მმართველობის სისტემა შეიცავს ხელმძღვანელობის დანიშვნებზე არსებული პოლიტიკური გავლენების მკაფიო ნიშნებს. ეს კი, პირდაპირ ეწინააღმდეგება რეგულაციის მე-5 მუხლის მოთხოვნებს გამჭვირვალე, კრიტერიუმებზე

დაფუძნებული დანიშვნისა და სასამართლო კონტროლის შესახებ. გარდა ამისა, საზოგადოებრივი მაუწყებლის მრავალწლიანი და პროგნოზირებადი დაფინანსება არ არის ინსტიტუციურად გამყარებული.

გასაკუთრებით მძიმე ვითარებაა სახელმწიფო რეკლამის მიმართულებით. დამოუკიდებელი ავტორიტატული საერთაშორისო ორგანიზაციების ანგარიშები მიუთითებს სარეკლამო სახსრების განაწილების ისეთ პრაქტიკაზე, რომელიც არაპროპორციულად აძლიერებს ხელისუფლებისადმი ლოიალურ მედიას.

პრობლემებია თვალთვალის, ჯამბურ პროგრამების გამოყენების და ჟურნალისტებზე ძალადობის კუთხითაც. ჟურნალისტების მიმართ თვალთვალის ნებისმიერი გამოყენება უნდა აკმაყოფილებდეს ისეთ პირობებს, როგორცაა: წინასწარი სასამართლო ნებართვა, პროპორციულობა და რეგულარული დამოუკიდებელი ზედამხედველობა. სამწუხაროდ საქართველოს საგამოძიებო კანონმდებლობა ამ სტანდარტებს დამაჯერებელი სიმკაცრით არ უზრუნველყოფს.

EMFA კანდიდატი ქვეყნებისთვის უფრო ფართო პრინციპსაც ამკვიდრებს: ევროკავშირში გაწევრიანება სულ უფრო მეტად გულისხმობს არა მხოლოდ ევროპული სამართლებრივი ტექსტების ფორმალურ გადატანას, არამედ იმ ინსტიტუციური ღირებულებების რეალურ დამკვიდრებას, რომლებსაც ეს ტექსტები გამოხატავს.

საქართველოსთვის ეს ნიშნავს:

- დამოუკიდებელ რეგულირებას;
- სარედაქციო ავტონომიას;
- საკუთრების გამჭვირვალობას;
- და ისეთ მედია ეკონომიკას, რომელიც სახელმწიფოს პატრონაჟზე არ არის დამოკიდებული.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ ევროპული მედიის თავისუფლების აქტი საქართველოსთვის ერთდროულად არის სარკვე და საგზაო რუკაც გაწევრიანების გზაზე.

## **X. გამოწვევები და კრიტიკული შეფასება**

EMFA ჩარჩო-რეგულაციაა და მისი პრაქტიკული ეფექტიანობა დიდწილად დამოკიდებულია იმაზე, როგორ განახორციელებენ მას წევრი სახელმწიფოები, ეროვნული მარეგულირებლები და ევროპული მედია მომსახურებების საბჭო.

რეგულაციის ერთ-ერთი მთავარი აკრძალვა, სარედაქციო დამოუკიდებლობაში ჩარევის დაუშვებლობა, მართალია სამართლებრივად სავალდებულოა, თუმცა მისი აღსრულება ეფუძნება საბჭოს მოსაზრებებს, კომისიის მონიტორინგსა და საბოლოოდ ევროკავშირის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პროცედურებს. აღნიშნული მექანიზმები, ანალოგიურ საქმეებში, ხშირად წელი და პოლიტიკურად რთულად განსახორციელებელი აღმოჩნდა. ამასთან, არ არსებობს სარედაქციო დამოუკიდებლობის დარღვევებისთვის სპეციალური და პირდაპირი სანქციების მექანიზმი.

მნიშვნელოვან კრიტიკას იწვევს მუხლის თვითდეკლარირების სისტემასთან დაკავშირებით. კერძოდ, პლატფორმებს კვლავ რჩებათ უფლება, უარი თქვან დეკლარაციების მიღებაზე, ხოლო მიღების კრიტერიუმებს საბოლოოდ თავად პლატფორმები განსაზღვრავენ, კომისიის სახელმძღვანელო პრინციპების ფარგლებში. ეს ქმნის რისკს, რომ არსებული ძალაუფლების ასიმეტრია შენარჩუნდეს. 24-საათიანი საპასუხო ვადაც შესაძლოა მცირე რედაქციებისთვის პრაქტიკულად არასაკმარისი იყოს.

შემდეგი კითხვები განსაზღვრავს EMFA-ის პრაქტიკულ მნიშვნელობას მისი მოქმედების პირველ წლებში:

- შეძლებს თუ არა ევროპული მედია მომსახურებების საბჭო ისეთი ინსტიტუციური კულტურის ჩამოყალიბებას, რომელიც საკმარისად დამოუკიდებელი იქნება ძლიერი წევრი სახელმწიფოების კრიტიკისთვის?
- შექმნის თუ არა სახელმწიფო რეკლამის გამჭვირვალობის მოთხოვნები რეალურად მნიშვნელოვან მონაცემებს, თუ სახელმწიფო ორგანოები მათ ვიწრო ინტერპრეტაციას მისცემენ?
- შეძლებს თუ არა მედიის კონცენტრაციის შეფასების სისტემა კონსოლიდაციის შეჩერებას მანამდე, სანამ ყველაზე მნიშვნელოვანი გარიგებები დასრულდება?
- იქნება თუ არა შესაძლებელი ჯამბუშური პროგრამების აკრძალვის აღსრულება იმ სპეცსამსახურების მიმართ, რომლებიც თავად უარყოფენ ასეთი ტექნოლოგიების გამოყენებას, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ევროკავშირის დონეზე ციფრული ექსპერტიზის დამოუკიდებელი შესაძლებლობები შეზღუდულია?

ევროკომისიის პირველი შეფასება, რომელიც 2028 წლის 8 აგვისტომდე უნდა გამოქვეყნდეს, გახდება პირველი სისტემური ტესტი იმისა, მუშაობს თუ არა EMFA-ის მიერ შექმნილი მმართველობითი არქიტექტურა იმ დამოუკიდებლობით, რომელსაც თავად ტექსტი მოითხოვს.

#### **XI. დასკვნა: ჩარჩო და არა გარანტია**

საერთო ჯამში, მედიის თავისუფლების ევროპული აქტი წარმოადგენს სტრუქტურულ გარდატეხას ევროკავშირის დამოკიდებულებაში მედიის სექტორის მიმართ — დაგვიანებულ, მაგრამ არსებით აღიარებას იმისა, რომ შიდა ბაზრის დემოკრატიული საფუძვლები ვერ იქნება თავისთავად გარანტირებული, როდესაც ზეწოლის ქვეშ არიან ის ინსტიტუტები, რომლებიც დემოკრატიულ მონაწილეობას ინფორმაციულ საფუძველს უქმნიან.

პირველად ევროკავშირის ისტორიაში, სავალდებულო წესები არეგულირებს:

- სარედაქციო დამოუკიდებლობას;
- ჟურნალისტური წყაროების დაცვას;
- ჟურნალისტების წინააღმდეგ ჯამბუშური პროგრამების გამოყენებას;
- საზოგადოებრივი მედიის მმართველობას;
- საკუთრების გამჭვირვალობას;
- მედიის ბაზრის კონცენტრაციას;
- სახელმწიფო რეკლამის განაწილებას;
- და ონლაინ პლატფორმების ვალდებულებებს მედია კონტენტთან მიმართებით.

EMFA იზოლირებული აქტი არ არის. იგი წარმოადგენს უფრო ფართო საკანონმდებლო არქიტექტურის ნაწილს, რომელიც მოიცავს:

- [ციფრული სერვისების აქტს](#);
- ციფრული ბაზრების აქტს;
- პოლიტიკური რეკლამის გამჭვირვალობისა და სამიზნე აუდიტორიის შერჩევის რეგულაციას (2024/900);
- და [ხელოვნური ინტელექტის აქტს](#).

ეს ინსტრუმენტები ერთად ქმნიან დემოკრატიული საჯარო სივრცის მართვის ახალ ევროპულ ჩარჩოს ციფრულ ეპოქაში.

მნიშვნელოვანია იმის აღიარებაც, რასაც EMFA ვერ აკეთებს:

- ის ვერ წყვეტს დამოუკიდებელი ჟურნალისტიკის სტრუქტურულ ეკონომიკურ სირთულეებს.
- ვერ იძლევა გარანტიას, რომ ყველა წევრ სახელმწიფოში სარედაქციო დამოუკიდებლობა პრაქტიკულად დაცული იქნება;
- და ვერ უზრუნველყოფს სწრაფ რეაგირებას მედიის თავისუფლების ყველაზე მწვავე კრიზისებზე ევროკავშირის შიგნით.

თუმცა ის ქმნის საერთო ევროპულ სტანდარტს — სამართლებრივად სავალდებულოს, შესაბამის ზედამხედველობას დაქვემდებარებულს.

კანდიდატი ქვეყნებისთვის, მათ შორის საქართველოსთვის, ეს სტანდარტი მხოლოდ მოთხოვნა კი არა, უფრო მეტად მოწვევაა ისეთი მედია გარემოს შესაქმნელად, რომელიც პირველ რიგში მოქალაქეებს მოემსახურება და არა მმართველ ძალას.

## მაისი 2026 წ.

### გიორგი რობაქიძე



გიორგი დიპლომატი და საერთაშორისო პოლიტიკის, უსაფრთხოებისა და ევროპული ინტეგრაციის ექსპერტია. საქართველოს სახელმწიფო სამსახურში მრავალწლიანი კარიერის მანძილზე (2004–2023) ის იკავებდა სხვადასხვა მნიშვნელოვან პოზიციებს, ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციისა და აგრეთვე რეგიონულ უსაფრთხოების მიმართულებით. გარდა დიპლომატიური სამსახურის, გიორგი რობაქიძე არის არაერთი სამეცნიერო პუბლიკაციის ავტორი, მათ შორის აღმოსავლეთ ევროპაში პოპულისტური და რადიკალური პარტიების კვლევის თემატიკაზე.